

დისტანციური რეგისტრაციის პირობები

- წინამდებარე პირობები განსაზღვრავს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ ანგარიშის გახსნის მიზნით ბანკის სისტემაში ფიზიკური პირის დისტანციურად რეგისტრაციას.
- სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ - საიდენტიფიკაციო ნომერი 202906427, შემდგომ „ბანკი“, ბანკის სათაო ოფისის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0108, ჭანტურიას ქუჩა N 14 საკონტაქტო ელ. ფოსტა: info@vtb.ge ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს წარმოადგენს vtb.ge სადაც შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ფილიალის/სერვის-ცენტრების მისამართები, ასევე ინფორმაცია ბანკის მომსახურებების შესახებ. ბანკის ლიცენზიის ნომერი: 226ა, გაცემის თარიღი 25.12.2016წ. ბანკის ზედამხედველი ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ოფიციალური ვებ გვერდის მისამართია nbg.gov.ge
- კანონმდებლობით დადგენილი წესით და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ბანკი ფიზიკური პირისგან, რომელსაც სურს ბანკში ანგარიშის გახსნა, იღებს პერსონალურ ინფორმაციას და ადასტურებს ნებას ანგარიშის გახსნის შესახებ.
- ფიზიკური პირი პროგრამულ უზრუნველყოფაში მისი პერსონალური მონაცემების მითითებით და შესაბამისი თანხმობის დილაკების გამოყენებით ადასტურებს რომ:
 - 4.1. მას სურს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ განხსნას მიმდინარე [საბარათე] ანგარიში და მიიღოს შესაბამისი ბარათი.
 - 4.2. მის მიერ გაცხადებული/მიწოდებული ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი.
 - 4.3. ბანკს უფლება აქვს დაამუშავოს ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი) მისთვის საბანკო მომსახურების მიწოდების მიზნით და საკონტაქტოდ.
- ფიზიკური პირისათვის ცნობილია, რომ იმ კომპანიისათვის, რომელიც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ბანკს (შემდგომ „მხარდამჭერი კომპანია“), ხელმისაწვდომი ხდება შემდეგი ინფორმაცია:
 - 5.1. პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე არსებული მისი პირადი მონაცემები;
 - 5.2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ ანგარიშის გახსნის შესახებ მის მიერ გამოხატული ნება;
 - 5.3. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ მისი ანგარიშის არსებობის/არარსებობის ფაქტი.
- ბანკი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 6.1. ამ ინფორმაციის მხარდამჭერი კომპანიისათვის გადაცემის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური პირისათვის საბანკო მომსახურების გაწევა;
 - 6.2. მხარდამჭერი კომპანია ამ ინფორმაციას არ გადაცემს სხვა პირებს ან/და არ გამოიყენებს სხვა მიზნებისათვის;
 - 6.3. ინფორმაცია დაუყონებლივ წაიშლება მხარდამჭერი კომპანიის მიერ მას შემდეგ, რაც ამ კომპანიის ტექნიკური მხარდაჭერის აუცილებლობა ამოიწურება.
- თუ ფიზიკურ პირს ბარათის მიღება სურს თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ბანკი მას მიაწოდებს ბარათს მის მიერ მითითებულ მისამართზე, ხოლო რეგიონის შემთხვევაში ბარათი მიეწოდება მის მიერ მითითებულ ბანკის გაყიდვის წერტილში.

8. ფიზიკური პირისათვის ცნობილია, რომ ვიდრე მას არ გადაეცემა საბანკო ბარათი და ის ხელს არ მოაწერს ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, მის მიერ ბანკში გახსნილი ანგარიში არის პასიური, ანუ მასზე ვერ განხორციელდება საბანკო ოპერაციები.
9. თუ ანგარიშის გახსნის შესახებ მოთხოვნის განხორციელებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ვერ მოხდება ფიზიკური პირისათვის ბარათის გადაცემა და ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე ხელმოწერა - ანგარიში იხურება.
10. ფიზიკური პირი ადასტურებს, რომ მის საიდენტიფიკაციო დოკუმენტზე (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) არსებულ ხელმოწერის ნიმუშს ბანკი მიიჩნევს იმ ხელმოწერის ნიმუშად, რომელსაც ის როგორც კლიენტი გამოიყენებს ბანკთან ურთიერთობისას.